

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებთან (მოცულობასთან) დაკავშირებით (საქმე #ას-1614-1608-2011 და საქმე #ას-1269-1289-2011)

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

საკასაციო პალატის განმარტებით, ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე.

პალატის განმარტებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ადვოკატს ორდერის საფუძველზე შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო

მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

№ას-1614-1608-2011

21 მაისი, 2012 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

პალატა ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვასილ როინიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – შ. გ-ე

მოწინააღმდეგე მხარე – ა. კ-ე

მესამე პირი – სს „...ბანკი“

გასაჩივრებული განჩინება – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება

დავის საგანი – ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შ. გ-ის მინდობილობის საფუძველზე დ. გ-ესა და მ. კ-ეს შორის 2008 წლის 06 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (ტომი 1, ს.ფ. 55-58).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ემ (ტომი 2, ს.ფ. 65-77, 96-107).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო (ტომი 2, ს.ფ. 156-159).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინებით შ. გ-ეს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარმოდგინა: ა) 800 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი; ბ) სააპელაციო საჩივრის შეტანაზე ა. თ-ის (აპელანტის წარმომადგენლის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება) (ტომი 2, ს.ფ. 137-139). ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

ზემოხსენებული განჩინება გაეგზავნა და ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ ა. თ.-ს, 2011 წლის 15 სექტემბერს, შესაბამისად, აპელანტს ხარვეზი შეეძლო შეევსო 2011 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს განჩინებაში მითითებული ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსთვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, ამავე კოდექსის 63-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. გ-ის წარმომადგენელმა ა. თ.-მა.

კერძო საჩივრის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ შ. გ-ეს (მხარეს) არ ჩაბარებია. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ის წარმომადგენელმა ა. თ.-მა, რომელიც საქმეში მონაწილეობდა მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე, 98-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო უწყების ჩაბარებასა და სხვა საპროცესო მოქმედებების შესრულებას სჭირდება მინდობილობა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი მინდობილობა აპელანტ შ. გ-ეს ა. თ.-ისათვის არ მიუცია, ამიტომ ხარვეზის განჩინების ამ უკანსკნელისათვის ჩაბარება ვერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებად (ტომი 2, ს.გ. 200-201).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-ის ადვოკატმა ა. თ.-მა (ტომი 2, ს.გ. 96-107).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა: ა) 800 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი; ბ) სააპელაციო საჩივრის შეტანაზე ა. თ.-ის (აპელანტის წარმომადგენლის) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით გაფორმებული რწმუნებულება). ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად (ტომი 2, ს.გ. 137-139).

ზემოხსენებული განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაბარდა აპელანტის ადვოკატს ა. თ.-ს (ტომი 2, ს.გ. 148). სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო (ტომი 2, ს.გ. 156-159).

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ აპელანტის ადვოკატი, ა. თ.-ი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად, ვინაიდან იგი არ იყო აღჭურვილი ასეთი უფლებამოსილებით

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96.3 მუხლის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, **საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:** ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); **კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში;** მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის უფლებებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, **ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.** ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ **ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა.** მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება გაეგზავნა და ჩაბარდა ადვოკატ ა. თ-ს, რომელიც აპელანტ შ. გ-ეს წარმოადგენდა ადვოკატის ორდერის საფუძველზე (ტომი 2, ს.ფ. 108). მითითებული ორდერი უფლებას ანიჭებდა ადვოკატ ა. თ-ს, რომ წარმოედგინა და დაეცვა შ. გ-ის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში. როგორც ზემოთ აღნიშნა, ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში. ამ ნორმის მიხედვით, ადვოკატს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ სპეციალური მინდობილობის საფუძველზე. ადვოკატი ალ.თ-ი სააპელაციო საჩივრის შეტანის დროს ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი არ იყო, ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს მართებულად

დაუდგინა ხარვეზი და დაავალა ალ.თ-ის სახელზე გაცემული მინდობილობის წარმოდგენა, რომელშიც სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული ამ უკანასკნელისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

აღნიშნული განჩინება, სააპელაციო სასამართლომ გაუგზავნა ადვოკატ ალ.თ-ს და მისთვის ჩაბარება მიიჩნია აპელანტისათვის ჩაბარებად, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ ადვოკატ ალ.თ-ს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა მინიჭებული, რაც საფუძვლად დაედო აპელანტისათვის ხარვეზის დადგენას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი უკავშირდებოდა წარმომადგენლის (ადვოკატის) მხრიდან ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულებას (სააპელაციო საჩივრის შეტანას), რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, სპეციალური მინდობილობა სჭირდებოდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი შინაარსის ხარვეზის განჩინება კანონით დადგენილი წესით უნდა გაგზავნოდა და ჩაბარებოდა უშუალოდ მხარეს, ვინაიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არმქონე პირი, არ იყო უფლებამოსილი შეესრულებინა ის საპროცესო მოქმედება, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა სწორედ მისი უფლებამოსილების არქონას. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ხარვეზის განჩინებით დადგენილი ვადის ათვლა, ამ განჩინების არაუფლებამოსილი პირისათვის (ადვოკატ ალ.თათელიშვილისათვის) ჩაბარების დღიდან აითვალა, რაც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ კანონით დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს ხარვეზის შევსების ვადის გარძელების შესახებ განჩინების უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარება და ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 03 ოქტომბრის განჩინება და საქმე შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ას-1269-1289-2011

24 ოქტომბერი, 2011 წელი
ქ.თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა:

ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნუნუ კვანტალიანი, პაატა ქათამაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – მ. ს-ე (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე – მცხეთის №1 საჯარო სკოლა (მოპასუხე)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

მ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ მცხეთის №1 საჯარო სკოლის მიმართ ქ.მცხეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2010 წლის 2 აგვისტოს № ... ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აპრილის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ მიუთითა საქმეში არსებულ გზავნილის ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათებზე, რომლითაც დასტურდება, რომ უწყება აპელანტ მ. ს-ეს პირადად ჩაბარდა 2011 წლის 4 ივნისს და მოწინააღმდეგე მხარეს – მცხეთის №1 საჯარო სკოლას – 13 ივნისს, სასამართლომ მითითა იმ გარემოებაზეც, რომ მხარეებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სააპელაციო პალატისათვის არ უცნობებიათ, რის გამოც სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე, 231-ე მუხლებით, 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და ჩათვალა, რომ არსებობდა მოცემული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ს-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მას გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ექიმის კონსულტაციით მკურნალობდა შინ დიაგნოზით – ალერგიული დერმატიტი. სასამართლოს ხდომის დღეს იყო შეუძლოდ და ვერ შეძლო პროცესზე გამოცხადება. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა არა სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის, არამედ ორდერის საფუძველზე და, მხარის გამოუცხადებლობის გამო, ადვოკატი ვერ შეძლებდა მისი ინტერესების დაცვას. მ.ს-ის განმარტებით, ის ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას, რაც ვერ მოახერხა.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე წარმოადგინა კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ინსტიტუტის პროფესორ გიორგი თვალაურის სახელით გაცემული მკურნალობის დანიშნულების, ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკის ანალიზის პასუხებისა და ქირურგ კ.დანგაძის სახელით გაცემული სამკურნალო დანიშნულების ასლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მოცემული კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება და არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ 2011 წლის 28 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე აპელანტსა და მის მოწინააღმდეგე მხარეს ეცნობათ სასამართლო უწყებით. უწყება აპელანტს ჩაბარდა პირადად 2011 წლის 4 ივნისს, ხოლო ქმცხეთის №1 საჯარო სკოლას – 13 ივნისს (იხ. ტ. II, ს. ფ. 31-33). სასამართლო სხდომის ოქმით ასევე დასტურდება და ამ ფაქტს იზიარებს მ.ს-ეც, რომ 2011 წლის 28 ივნისს 11:20 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მხარეები არ გამოცხადებულან და მათ გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლზე, რომლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილია აპელანტისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ხოლო მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ამავე კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ანალოგიული შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს რა ის გარემოება, რომ აპელანტი და მისი მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად

იხელმძღვანელა კანონის ზემოაღნიშნული ნორმებით და სწორად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება მ.ს-ის მითითებას, რომ ის სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულს და მას გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველდ ვერ მიიჩნევს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

დასახელებული ნორმით დადგენილია ის სავალდებულო წინაპირობები, როდესაც სასამართლო ვალდებულია, მხარის გამოუცხადებლობა ჩათვალოს საპატიოდ. მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით: კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ინსტიტუტის პროფესორ გიორგი თვალაურის სახელით გაცემული მკურნალობის დანიშნულებით, ქობილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკის მიერ ჩატარებული ანალიზის პასუხებისა და ქირურგ კ.დანგაძის სახელით გაცემული სამკურნალო დანიშნულების ასლებით არ დასტურდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მტკიცებულებები არ შეიცავს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერას, მათი გაცემის თარიღს და სხვა, რის გამოც საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს მითითებული და დაადგინოს ექიმის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები: შეეძლო თუ არა მითითებული დანიშნულების მომხმარებელ პაციენტს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. ამასთანავე მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლით დადგენილი წესით (დედნის სახით).

რაც შეეხება მ.ს-ის მითითებას, რომ ის ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას, თუმცა ვერ მოახერხა, საკასაციო პალატა ვერც მითითებულ არგუმენტს გაიზიარებს დაუსაბუთებლობის გამო და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილების დანაწესებზე, რომლითაც დადგენილია, რომ მხარემ შუამდგომლობაში მითითებული გარემოება უნდა დაასაბუთოს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ამდენად, კანონმდებელმა განსაზღვრა მტკიცებულებათა სათანადოობის გამოკვლევა და მიუთითა, რომ კონკრეტული ფაქტი მისი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებით უნდა გამოყარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეექმნება შინაგანი რწმენა შუამდგომლობის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მ.ს-ის არგუმენტს, რომ მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის გამოუცხადებლობა სანოტარო წესით გაცემული რწმუნებულების არქონამ განაპირობა და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. აღნიშნული ნორმით დადგენილია ადვოკატის წარმომადგენლობის უფლებოსილების ნამდვილობა და კანონმდებელი არ კრძალავს მხარის ინტერესების მითითებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატის მიერ დაცვის შესაძლებლობას, თუმცა მხოლოდ ორდერის არსებობის პირობებში დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, წარმოდგენილი პირის ინტერესების დამცველი ადვოკატი, რომელიც საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორდერის მეშვეობით და უშუალოდ მხარე არ არის სხდომაზე, ვერ განახორციელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ შემდეგ საპროცესო მოქმედებებს: სარჩელის აღძვრა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღება. აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს თითოეული ამ უფლების თაობაზე მიეთითოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დადასტურებულ წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში – მინდობილობაში. რაც შეეხება საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებას და თუნდაც იმ ფაქტს, რომ ადვოკატს სასამართლოსათვის მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ეცნობებინა და მოეთხოვა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადატანა, აღნიშნულს კანონმდებლობა არ კრძალავს, რაც კერძო საჩივრის ამ არგუმენტის უსაფუძვლობას უტყუარად ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ს-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი

დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.